ყვარლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება №3
2024 წლის 22 იანვარი

ქ. ყვარელი

ყვარლის მუნიციპალიტეტის მერიის პოლიტიკურ თანამდებობის პირთა, პროფესიულ საჯარო მოხელეთა და ადმინისტრაციული ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა თანამდებობრივი სარგოების განსაზღვრის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „დ.ე“ ქვეპუნქტის, „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 25-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,ბ'' ქვეპუნქტისა და მე-4 პუნქტის, საქართველოს კანონის ,,საჯარო დაწესებულებაში შრომის ანაზღაურების შესახებ“ მე-8 მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, ყვარლის მუნიციპალიტეტის საკრებულო **ადგენს:**

მუხლი 1

დამტკიცდეს ყვარლის მუნიციპალიტეტის მერიის პოლიტიკურ თანამდებობის პირთა, პროფესიულ საჯარო მოხელეთა და ადმინისტრაციული ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა თანამდებობრივი სარგოები დანართის შესაბამისად.

მუხლი 2

ამ დადგენილების ამოქმედებისთანავე ძალადაკარგულად გამოცხადდეს „ყვარლის მუნიციპალიტეტის მერიის პოლიტიკურ თანამდებობის პირთა და პროფესიულ საჯარო მოხელეთა თანამდებობრივი სარგოების განსაზღვრის შესახებ“ ყვარლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 12 იანვრის №3 დადგენილება (matsne.gov.ge 17/01/2018 წ. 270070000.35.164.016277)

მუხლი 3

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე და გავრცელდეს 2024 წლის 1 იანვრიდან წარმოშობილ სამართლებრივ ურთიერთობებზე.

ყვარლის მუნიციპლიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე **ილია მზექალაშვილი**

დანართი

ყვარლის მუნიციპალიტეტის მერიის პოლიტიკურ თანამდებობის პირთა, პროფესიულ საჯარო მოხელეთა და ადმინისტრაციული ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა თანამდებობრივი სარგოები				
№	რანგი	პოზიცია	თანამდებობრივი სარგო (ლარი)	კოეფიციენტი
პოლიტიკური თანამდებობის პირები				
1		მერი	6126	
2		მერის პირველი მოადგილე	4659	
3		მერის მოადგილე	4259	
პროფესიული საჯარო მოხელეები				

4	I	პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი, სამსახურის ხელმძღვანელი	3059	2.3
5	II	მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი, განყოფილების უფროსი	2128	1.6
6	III	I კატეგორიის უფროსი სპეციალისტი	1463	1.1
7	III	II კატეგორიის უფროსი სპეციალისტი	1330	1.0
8	III	III კატეგორიის უფროსი სპეციალისტი	1197	0.9
9	IV	I კატეგორიის უმცროსი სპეციალისტი	931	0.7
10	IV	II კატეგორიის უმცროსი სპეციალისტი	864,5	0.65
11	IV	III კატეგორიის უმცროსი სპეციალისტი	665	0.5
ადმინისტრაციული ხელშეკრულებით დასაქმებული პირები				
12		ადმინისტრაციული ხელშეკრულებით დასაქმებული პირი – მერის წარმომადგენელი ადმინისტრაციულ ერთეულში	2128	
13		ადმინისტრაციული ხელშეკრულებით დასაქმებული პირი – სპეციალისტი ადმინისტრაციულ ერთეულში	908	